



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 5890
19/12/2019

5890-09-2-201912191624



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და მასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოხსენებით ბარათს.

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. ვინაიდან, განკარგულება მნიშვნელოვანია გრანტის მისაღებად და მისი მიღება აუცილებელია 2019 წლის განმავლობაში, მიზანშეწონილია პროექტი მიღებულ იქნეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

გთხოვთ თქვენს თანხმობას.

ალექსანდრე სარიშვილი



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ა. სარიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 2363
17/12/2019

2363-09-3-201912171434



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერსს;ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახურის უფროსის;გიორგი ნაჭყებიას
მოხსენებითი ბარათი

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) პროექტი:რეგიონული ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ((FRLD) ფაზა 2 მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადდა პროექტი „ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის“,პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 67039.6 ლარს შეადგენს,რაშიც მუნიციპალიტეტის დასაფინანსებელია 7150 ლარი,გრანტის 5988,96 ლარის მიღებისთვის,აუცილებელია საკრებულოს თანხმობა.

გთხოვთ,დაავალოთ იურიდიულ სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

იხ.პროექტი

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური



საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 1990 2019 წლის 20 სექტემბერი ქ. თბილისი

მუნიციპალიტეტებისთვის გრანტის მიღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, მიეცეთ ნებართვა მუნიციპალიტეტებს, მიიღონ გრანტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გრანტის მიღების ნებართვის მისაღებად საქართველოს მთავრობისათვის დამატებითი შუამდგომლობით მომართვის გარეშე, თუ საგრანტო ხელშეკრულებით მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება (ფულადი თუ ნატურალური ფორმით) არ აღემატება გრანტის ოდენობას და გრანტის გამცემ(ებ)ია:

ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN) ან/და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP);

ბ) ევროპის კავშირი (EU), ევროპის საბჭო ან/და ევროპის კომისია;

გ) ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ან/და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა;

დ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ან/და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

2. განკარგულება ძალაშია 2021 წლის 1 იანვრამდე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გახარია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 2389

19/12/2019

2389-09-3-201912191208



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

იურიდიული სამსახურის უფროსის მ/შ

ქალბატონ გულინა კუნჭულისას

თქვენი მიმდინარე წლის 19 დეკემბრის #2385 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ გაეროს განვითარების პროგრამის გრანტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 7150 (შვიდიათას ას ორმოცდაათი ლარი) ლარის თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება 2020 წლის ბიუჯეტის პირველივე ცვლილების პირობებში.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური



საქართველოს სასოფლო დარბაზი

GEORGIAN RURAL COUNCIL

No: 76

27.09.19

გაეროს განვითარების პროგრამას
საქართველოში


პატივცემულო ბატონო/ქალბატონო

გავცანით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მომზადებულ პროექტს „ტურისტული
მარშუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალო მთიანი თემების ეკონომიური
გაძლიერებისთვის.“

მიგვაჩნია, რომ პროექტის მომზადების დროს ავტორებმა ადეკვატურად განსაზღვრეს
ზოგადად მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება და თემებში
მცხოვრებ ადამიანთა პრობლემები პროექტით მოთხოვნილ მიზნებთან და ამოცანებთან
დაკავშირებით. ვფიქრობთ, პროექტის განხორციელება შექმნის თვალსაჩინო მაგალითს
გურიაში ტურისტული პოტენციალის ზრდისთვის და მისი მდგრადობის და უწყვეტი
განვითარება-შენარჩუნებისათვის. პროექტის შინაარსი რაციონალურად არის გადმოცემული
და იმსახურებს ჩვენი ორგანიზაციის მოწონებას

პატივისცემით

ამირან გიგინეიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი



Empowered lives.
Resilient nations.


გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)

პროექტი: რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა
საქართველოში (FRLD) -ფაზა 2

მუნიციპალიტეტების
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების
ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა ღიაა გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო
სვანეთის და ქვემო ქართლის 23 მუნიციპალიტეტისთვის

ივლისი 2019



Empowered lives.
Resilient nations.

დანართი 1 -საპროექტოგანაცხადისფორმა

ნაწილი პირველი. ზოგადი ინფორმაცია

განმცხადებლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია		
პროექტის სახელწოდება	ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისათვის	
მუნიციპალიტეტის დასახელება	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	
URL /ვებ-გვერდის მისამართი და ელექტრონული ფოსტის მისამართი	http://lanchkhuti.gov.ge/	
მუნიციპალიტეტში პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	სახელი და გვარი	გელა ზოიძე
	საფოსტო მისამართი	2800, ლანჩხუთი, ჟორდანias 126
	სამსახურებრივი ტელეფონის ნომერი	
	მობილური ტელეფონის ნომერი	591191526
	ელ. ფოსტის მისამართი	gelazoidze64@gmail.com
პროექტის განხორციელების ზუსტი ადგილი/ები	ჩოჩხათის თემი, აცანის თემი.	
ბენეფიციართა დასახელება და სავარაუდო რაოდენობა (პირდაპირი და ირიბი)	ჩოჩხათისა და აცანის თემის, ასევე მეზობელი თემების მოსახლეობა პირდაპირი -1. ადამიანები, რომლებიც გაყიდვიან პროდუქციას; 2. ადამიანები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ვიზიტორებს. დაახლოებით 70 კაცი. ირიბი - 1. იმ ადამიანების ოჯახის წევრები , რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული პროექტის განხორციელებაში; 2. ადგილობრივი მოსახლეობა , რომლებიც ისარგებლებენ პროექტის სიკეთეებით; 3. მოსული ვიზიტორები. დაახლოებით 1000 ადამიანი.	

	ი.
პროექტის ხანგრძლივობა(მაქსიმუმ 12 თვე), დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღი	7 თვე 01.11. 2019-01.06. 2020 წ.
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	67039,6
UNDP-გან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	59889,6
თანადაფინანსების მოცულობა (ლარი და %)	7150
პარტნიორი ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

ნაწილი მეორე. პროექტის აღწერა და განხორციელება

ამ ნაწილში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია პრობლემზე, რომლის მოგვარებაც გასურთ, ასევე თქვენი პროექტის საქმიანობის, მოსალოდნელი შედეგების და მოთხოვნილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ.

1. პროექტის მიზანი და ამოცანები

მიუთითეთ მიზანი, რომლის მიღწევაშიც წარმოდგენილ პროექტს შეაქვს წვლილი და კონკრეტული ამოცანები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფილი იქნება პროექტის ფარგლებში

პროექტის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალზე დაფუძნებით მუნიციპალიტეტის საშუალო მთიან თემებში – აცანა, ჩოჩხათი, ეკონომიკური სარგებელის მიღება, აგროტურიზმის განვითარება და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანაა : ჩოჩხათის და აცანის თემებში არსებული ტურისტული პოტენციალის ნაწილობრივ ათვისება-გამოყენება; ტუროპერატორების დაინტერესება და აქტიური ჩაბმა; სარეკლამო საქმიანობები;

აღნიშნული პროექტის განხორციელებით ტურისტების (შიგა და გარე ვიზიტორების) მოზიდვა. კერძო სექტორის შემდგომი დაინტერესება სამომავლოდ მათი აქტიური ჩართულობისთვის.

პროექტის ფარგლებში განზრახულია ჩოჩხათის თემში, მდინარე სუფსაზე ჯომარდობის განვითარება, შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა და კვალიფიციური (სერთიფიცირებული) ინსტრუქტორების მომზადება. ასევე ჩოჩხათის თემში არსებული ორკარის კანიონის და აცანის თემში მდინარე აცაურას ხეობაში არსებული კანიონებისა და ჩანჩქერების ტურისტულ მარშრუტებში ჩასმა, ინფრასტრუქტურის (სავალი ბილიკების, საპიკნიკე ადგილების, ფანჯატურებისა და სავაჭრო დახლების, მარშრუტების მაჩვენებლების) მოწესრიგება. ასევე ტურისტული მარშრუტების ბუკლეტის გამოცემა, ტურისტული ინვენტარის (კარების და სხვ.) შეძენა, რომელსაც განკარგავს და ორგანიზებას გაუწევს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ა(ა)იპი. მოსახლეობისთვის ინფორმაციის მოწოდებას და ტრენინგებს უზრუნველყოფს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარების და ინოვაციის ცენტრის ტურიზმის განვითარების განყოფილების სერთიფიცირებული თანამშრომლები.

2. საპროექტო წინადადების მოკლე აღწერა(მაქს. 300 სიტყვა)

წარმოადგინეთ პროექტის მოკლე და მკაფიო აღწერილობა. დაასაბუთეთ, თუ რატომ არის თქვენი წინადადება პროგრამის კრიტერიუმებთან შესაბამისი, როგორ შეიტანს წვლილს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების განხორციელების პროცესში, და/ან მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში

პროექტის განხორციელება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურისტული ნაკადების მატება გაიზრდის მოსახლეობის დაინტერესებას მათ მიერ მოწეული ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზების და მომსახურების გაწევის შიგა და გარე ვიზიტორებზე, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ თემებში მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შემოსავლების ზრდას, გააუმჯობესებს ბიზნეს გარემოს, საფუძველს მისცემს სამუშაო ადგილების შექმნას და გახდება ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი დაჩქარებული მიგრაციის პროცესის შემცირებისა.

ასევე პროექტი ბიძგს მისცემს ადგილობრივ ხელისუფლებას თავისი კომპენტენციის ფარგლებში, მოსახლეობის მოთხოვნით, განახორციელოს მიზნობრივი, სპეციფიკური პროექტები, ტურისტული ელემენტების გათვალისწინებით, ეკონომიკური აქტივობისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისათვის.

რაც თავისთავად შექმნის ტრადიციას და მოტივაციას მისცემს დაინტერესებულ პირებს ადგილებზე განავითარონ ტურისტული და სხვა სახის მცირე და საშუალო ბიზნესი და მიიღონ აქედან ეკონომიკური სარგებელი.

უნდა აღინიშნოს, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის რელიეფი, ნოგოითის ქედის სოფლები, მდინარეები, ბუნებრივი ლანდშაფტური პირობები ტურიზმის განვითარების შესანიშნავ პირობებს ქმნის.

ჩოჩხატის თემი და სუფსის ხეობა გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თვალწარმტაცი ბუნების ხედებით, მდინარის შენაკადებით. ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობებით, კულტურული ძეგლებით, (ჯუმათის მამათა მონასტერი, ჯიხანჯირის ნასტეფნარა, კონჭკათი, გურიანთის ციხის ნანგრევები, ხორეთის გამოქვაბულები და სხვა). ეს იტორიულ-კულტურული ადგილები, ბუნების ძეგლები ჩართული იქნება ტურისტულ მარშრუტებში.

ჩოჩხატის თემიდან შესაძლებელი იქნება აცანის თემში, მდინარე აცაურას ხეობის მონახულება, როგორც სამანქანო გზით ასევე საცხენოსნო ბილიკებით. სოფელი აცანა მდებარეობს ნიგოითის ქედის სამხრეთ კალთაზე, მთათა შორის ქვაბულში, ზღვის დონიდან 150-300 მ-ზე. გამოირჩევა თავისი მიკრო კლიმატით და ულამაზესი რელიეფით. სოფელში მისდევენ მეფუტკრეობას, მეთხილეობას, მეციტრუსეობას, უხვად არის ბამბუკის, წაბლის, წიფელას, რცხილას და მურყანის ტყეები. მდინარე აცაურა თავისი შენაკადებით გამოირჩეულია ულამაზესი კანიონებით და ჩანჩქერებით, ანკარა წყაროებით. მდინარეში დაშვებულია ანკესით თევზაობა. აცანის ხეობაში არის ოქონას შუა საუკუნეების მონასტერი, მაცხოვრის სახელობის ეკლესია.

ზემოხსენებული თემები მდებარეობს შუაში კოლხეთის ეროვნულ პარკსა და ისეთ კურორტებს შორის, როგორიცაა ბახმარო და გომისმთა, რაც უფრო საინტერესოს და მიმზიდველს გახდის ტურისტულ მარშრუტებს გამომდინარე კოლხეთის ეროვნული პარკისა და ბახმაროს სტრატეგიული განვითარების გეგმებიდან.

ჩოჩხატის და აცანის თემებში, მდინარეების სუფსისა და აცაურას მიდამოებში მოეწეობა ვიზიტორთა ბანაკი, რომელიც აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით, მოწესრიგდება მისასვლელი გზა, დასუფთავდება მდინარეების მიმდებარე ტერიტორია, დაიდგმება გზის მაჩვენებლები და ნიშნულები, მოეწყობა სავაჭრო დახლები, საპიკნიკე, საკემპინგე ადგილები (თავისი ფუნქციური მოწყობილობებით), რომლებიც განკუთვნილი იქნება, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ვიზიტორებისათვის. მდინარის სუფსის წინასწარ განსაზღვრულ მონაკვეთზე, რომელიც ძალიან ახლოსაა მოსახლეობასთან, გაიმართება ჯომარდობა - დაშვება გასაბერი ნაგებობით. ტურისტული ნაკადების მოზიდვას და მომსახურებას განახორციელებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპი, რომლის ფუნქციებში შედის შესაბამისი საქმიანობა.

3. პრობლემის ფორმულირება(მაქს. 250 სიტყვა)

აღწერეთ არსებული სიტუაცია და მთავარი პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება წარმოდგენილი პროექტი. ყურადღება გაამახვილეთ პროექტის ბუნებრივი ძირებზე, მათ თავისებურებებზე (განსაკუთრებით გენდერული და ეთნიკური თვალსაზრისით) და მათ სავარაუდო რაოდენობაზე.

ჩოჩხატისა და აცანის თემებში განვითარებული იყო მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, ამჟამად ეს დარგები შემოსავლიანი აღარ არის, ადგილობრივებს აქვთ მატერიალური პრობლემები, აქედან გამომდინარე,

მიგრაციული პროცესები იჩენს თავს. სოფლები, რომლებიც ტრადიციულად ყველაზე მდიდარ სოფლებად ითვლებოდნენ, ახლა დაცლის პირასაა. ასეთი მიმზიდველი ადგილების ხსნის ერთ-ერთი გზა ტურიზმის განვითარებაა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით. აღნიშნული პროექტი გამოაცოცხლებს და ბიძგს მისცემს სოფლის ეკონომიკურ ცხოვრებას და იქნება გარკვეული კონკრეტული შედეგების მომტანი.

ჩოჩხატისა და აცანის თემები ტურისტულად მიმზიდველია, საინტერესო რელიეფით, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლებით, მაგრამ არ არის დადგენილი ტურისტული მარშრუტები, არ არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ასეთი ადგილების შესახებ ცნობადობა მწირია.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა ზოგადად გათვითცნობიერებულია, რომ ტურიზმის განვითარება მათ თემებში არის მატერიალური სიკეთის მომტანი, მაგრამ არ იციან როგორ განავითარონ და როგორ შექმნან საჭირო პირობები. ამიტომ საჭიროა მოსახლეობის ინფორმაციული დონის ამაღლება, რაც მოხდება ზემოდასახელებულ თემებში შეხვედრებით და ტრენინგებით - როგორ მიიღონ ეკონომიკური სარგებელი, როგორც ტურისტების მომსახურების გაწევით, ასევე მათ მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზებით. პროექტის განხორციელების შემდეგ მოსახლეობაში გაჩნდება მოტივაცია საოჯახო სასტუმროებისა და „გესტჰაუზების“ შექმნისა. პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ადგილობრივი მოსახლეობა, ძირითადად, ქალები და ამ თემებში ჯერ კიდევ დარჩენილი ახალგაზრდები.

4. პროექტის სტრატეგია, განსახორციელებელი საქმიანობები და მოსალოდნელი შედეგები (მაქს. 500 სიტყვა)

წარმოადგინეთ დასახელებული პრობლემების მოსაგვარებლად დაგეგმილი სტრატეგია, პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობები და მოკლე და გრძელვადიანი შედეგები. ასევე, განმარტეთ, როგორ შეიტანს პროექტი წვლილს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრაში, დასახული მიზნების მიღწევაში და შესაბამისად ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესში.

ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის - ტურისტული ლანჩხუთის შესახებ ინფორმაციულობის ამაღლება, ტურისტების მოზიდვა, აგროტურიზმის განვითარება, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის გაზრდა.

პროექტის ფარგლებში მოხდება:

- მარშრუტების სქემის შედგენა,
- ჩოჩხატის თემში ადგილების შერჩევა ჯომარდობის სტარტისთვის და ფინიშისთვის;
- ჩოჩხატის და აცანის თემებში მომავალ ვიზიტორთათვის ბანაკებისა და დასვენების ადგილების მოწყობა; ასევე საპიკნიკე და საცალო ვაჭრობის ადგილების მოწყობა - ფანჩატურებისა და დახლების შეძენა-დამზადება(ფანჩატურები დამზადდება ბამბუკისაგან, რომელის შეძენა მოხდება ადგილობრივი მოსახლეობიდან).
- ჯომარდობისთვის საჭირო აღჭურვილობის , ინვენტარის შეძენა;
- კვალიფიციური (სერთიფიცირებული) ინსტრუქტორების მოწვევა ადგილობრივი ინსტრუქტორების დასატრენინგებლად.
- შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ინფორმაციის მიწოდება, როგორ ჩაერთონ პროექტის განხორციელებაში და როგორ მიიღონ ეკონომიკური სარგებელი, როგორც მე-3 თავში, პრობლემის ფორმულირებაშია აღნიშნული.
- მდინარე აცაურას სათავესთან („პატარა ტბასთან“), რომელიც მდებარეობს მამათის თემის

საზღვართან, მთა სამებას კალთაზე მისასვლელი ბილიკის დასუფთავება მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განყოფილების, ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის და ა(ა)იპ სპორტული ცენტრის მიერ. ანალოგიური ღონისძიების გატარება ჩოჩხათის თემში არსებული „ორკარის კანიონში“.

საცალო ვაჭრობაში ადგილობრივი მოსახლეობა გაყიდის თავის ნამატ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (თაფლს და თაფლის არაყს, ვაშლს, მსხალს ციტრუსს, ბოსტნეულს, ჩაის, ღვინოს და სხვ.) ბაზმუკისგან დამზადებულ სხვადასხვა ნაკეთობებს, რითაც გაიუმჯობესებს ეკონომიურ მდგომარეობას. ტურისტებს გააცნობენ გურულ კულინარიას, მოეწეობა გურული კერძებისა და უძველესი ღვინოების დაგემოვნება-დეგუსტაციას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აცანა დასავლეთ საქართველოში გამოირჩევა მაღალი ხარისხის თიხნარი მიწებით, შესაბამისად, განვითარებულია მეთუნეობა, აწარმოებენ თიხის ნაკეთობებს, რომლებსაც შესთავაზებენ ვიზიტორებს და ლაშქრობებში მონაწილე ტურისტებს.

მოკლევადიანი შედეგი იქნება:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაციის ამაღლება
- გადამზადდება 5-6 ადგილობრივი ინტრუქტორი
- მდინარე სუფსაზე ჯომარდობის მსურველთა რაოდენობა გაიზრდება
- გაიზრდება მდინარეების სუფსისა და აცაურას და მათი ულამაზესი ხეობის ცნობადობა.
- პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის თვითდასაქმებას;
- გაიზრდება თვითდასაქმებულთა შემოსავლები და სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა.

გრძელვადიანი შედეგი:

- პერსპექტივაში შიგა და გარე ვიზიტორთა რაოდენობის მატება;
- შესაძლებლობა გაჩნდება თემების ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გაუმჯობესებისა; ასევე თვითმმართველობას მიეცემა საფუძველი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა სხვა ტურისტულად მიმზიდველ დასახლებულ ადგილებში ადგილობრივი ბიუჯეტის საშუალებით.
- შესაძლო მოტივაცია მუნიციპალიტეტში საოჯახო სასტუმროების და გესთჰაუზების შექმნის;

5. მოსალოდნელი გავლენა და მდგრადობა (მაქს. 300 სიტყვა)

აღწერეთ ის ზეგავლენა, რასაც პროექტი გრძელვადიან პერსპექტივაში მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე, სამიზნე ჯგუფებსა და ბენეფიციარებზე. აღწერეთ, პროექტისაგან რა სარგებელია მოსალოდნელი მოსახლეობის, ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკურ უმცირესობების ეკონომიკური გააქტიურების კუთხით.

გთხოვთ, განსაზღვრეთ, პროექტის დასრულების შემდეგ, როგორ მოხდება დადებითი შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფა, მათი შენარჩუნება და გაფართოება.

პროექტის განხორციელება იძლევა საშუალებას ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის თვითდასაქმების და მათი შემოსავლების გაზრდის.

პროექტი გრძელვადიან პერსპექტივაში მოიტანს იმ შედეგს, რომ ადგილებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოგვარებისა და ტურისტების მატებასთან ერთად, გაიზრდება მოსახლეობის

(უმეტესწილად ქალებისა და ახალგაზრდების) დაინტერესება, რომ მოახდინონ მათ მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზება, მიიღონ დამატებითი ეკონომიკური სარგებელი და გაიზარდონ შემოსავალი, განავითარონ შესაბამისი აუცილებელი უნარ-ჩვევები სოფლის ტურიზმთან დაკავშირებით. ეს შეუწყობს ჩოჩხათის, აგანისა და მოსაზღვრე თემების სოფლების (მამათის, აკეთის, ნინოშვილის) მეტ ჩართულობას ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც ერთ-ერთი ფაქტორი იქნება მოსახლეობის გადინების შეჩერების.

ტურიზმის განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში გააძლიერებს სოფლად მცხოვრებლების ინტერესს და ეკონომიკურ აქტივობას. მოსახლეობას საშუალება მიეცემა გონივრულად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები და მატერიალური აქტივები, მეტი ყურადღება მიაქციოს გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარებას.

პროექტის დასრულების შემდეგ, მისი მდგრადობის უზრუნველყოფის, შენარჩუნების და გაფართოების მიზნით:

- პროექტის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა კერძოდ მის მიერ შექმნილი ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი, როგორც ძირითადი განმკარგავი და განმახორციელებელი ზემოთ არნიშნული პროექტისა და ასევე სხვა პროექტებისა და გრანტებისა, უზრუნველყოფს ამ თემებში ტურიზმის განვითარებას, მასთან დაკავშირებულ რეკლამებს და ტურისტების მოზიდვას;
- ინფორმაცია განთავსდება მუნიციპალიტეტის და ტურისტული კომპანიების ვებ. გვერდებზე;
- ინფორმაცია მიეწოდებათ ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში არსებულ სასტუმროებს და გესტჰაუზებს;
- მოხდება პროექტის რეკლამირება ადგილობრივი და ცენტრალური მედია საშუალებებით;
- ინფორმაცია მიეწოდება ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას;
- სხვადასხვა სახის ტურისტული აქტივობებისთვის გამოიყენებს სხვადასხვა ტურისტულ და ვიზიტორების ცენტრებთან გაფორმებულ მემორანდუმებს; (ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და პასუხისმგებლობა ამ მიმართულებაზე ისედაც ევალება ზემოთ აღნიშნულ ა(ა)იპ-ს, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დამტკიცებულია პროგრამული ბიუჯეტით).
- მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ეკონომიკის განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი შემოსავლებს მოახმარს ამ თემებში პროექტის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, მუნიციპალიტეტის კერზო ბიზნესთან და დაინტერესებულ პირებთან აქტიური ურთიერთობით, ასევე მსგავსი ტიპის პროექტებში მონაწილეობით, ტურისტული ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო მოწესრიგებითა და არეალის გაფართოებით.

6. კავშირი მუნიციპალიტეტის სხვა პროექტებთან(მაქს. 250 სიტყვა)

ჩამოთვალეთ ნებისმიერი მსგავსი პროექტი და/ან საქმიანობა, რომელიც განხორციელდა ან ამჟამად ხორციელდება თქვენს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის ევროკავშირის პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ ფარგლებში - სახელწოდებით „რა ყოფილა გურია“ - განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- „ორკარის“ კანონის დასუფთავება, მაჩვენებლებისა და ბანერების დადგმა, ჩანჩქერზე ასასვლელი კიბის დადგმა
- „საქუხიას“ კანონის საპიკნიკე ადგილების მოწყობა, მაჩვენებლებისა და ბანერების დადგმა

აღნიშნული პროექტების განხორციელებამ გამოიწვია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა.

ორკარის კანიონი მდებარეობს ჩოჩხატის თემში, ხოლო საქუხიას კანიონი - აცანის. ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს ამ თემების ეკონომიკურ გაძლიერებას. პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოხდება უკუკავშირი ანუ ეკონომიკური სარგებელის მიღება „რა ყოფილა გურიას“ ფარგლებში განხორციელებული ტურისტული ობიექტებიდან, რადგანაც ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ორკარის კანიონის შესასვლელში ფაჩანტურების, საპიკნიკე ადგილების და სავაჭრო დახლების მოწყობას, ასევე იქ მოსულ ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ, გასაბერი ნაგებობით დაეშვან მდინარე სუფსაზე(ჯომარდობა-რაფტინგი)და დატკბენ მდინარის ხეობის ულამაზესი სანახევით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯომარდობის საწყისი ბაზა მდებარეობს კანიონის შესასვლელიდან დაახლოებით 50 მეტრში.

საქუხიას კანიონი სოფელ აცანაშია და აღნიშნული პროექტით დაგეგმილი განსახორციელებელი სამუშაოებში გააძლერებს მის პოპულარიზაციას და პირიქით, კანიონის არსებობა ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას მიიღონ ეკონომიკური სარგებელი ახალი პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

7. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (მაქს. 250 სიტყვა)

აღწერეთ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში დაინტერესებული მხარეების, ბენეფიციარების ჩართულობის და მონაწილეობის გზები.

პროექტის განხორციელებაში დაინტერესებული მხარეები

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი (პროექტის შედგენა და ფინანსური თანამონაწილეობა)
- ჩოჩხატის, აცანის და მიმდებარე თემების უკიდურესად მცირეშემოსავლიანი მოსახლეობა, მათ შორის ქალები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია და მომსახურება)
- ზემოხსენებული თემების ახალგაზრდობა, მათ შორის მოსწავლე-ახალგაზრდობა (მოხალისეები და ინფორმაციის მიღება პროექტის შესახებ, შემდგომი განვითარება)
- ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი (პროექტის შედგენა და შემდგომი კოორდინაცია, სამიზნე ადგილების გამოვლენა და ტურისტული მარშრუტების შემუშავება, პროექტის განხორციელება, გრანტის დასრულების შემდეგ, არსებული ქონების განკარგვა მდგრადობისა და სემდგომი განვითარების მიზნით)
- ჯომარდობის ინსტრუქტორები, მომსახურე პერსონალი
- ა(ა)იპ სპორტული ცენტრი (მდინარე აცაურას სათავეს ბილიკის დასუფთავება, ახალგაზრდობის სპორტულ-პატრიოტული ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება).

8. ბიუჯეტი

წარმოადგინეთ საპროექტო წინადადების პუნქტობრივად გაწერილი ბიუჯეტი თანდართული ფორმის (დანართი 2) შესაბამისად, მათ შორის, პროექტის მიერ მოთხოვნილი ხარჯები და ასევე ის ხარჯები, რომელიც დაფარული იქნება სხვა რესურსებით და/ან კონტრიბუციებით.

9. რისკების ანალიზი და მათი მართვის სტრატეგია

აღწერეთ მოსალოდნელი რისკები, რამაც შესაძლოა პროექტის განხორციელებაზე მოახდინოს ზეგავლენა და განსაზღვრეთ, რა ზომები იქნება გამოყენებული მოსალოდნელი რისკების მართვის/შემცირების მიზნით.

რისკები		აღბათობა (მცირე, საშუალო, მაღალი)	რისკის მართვის სტრატეგია
შიდა	წყალდიდობა და სტიქიური მოვლენები	საშუალო	წინასწარი პროგნოზირება
შიდა	ტურიზმის როგორც მომგებიანი სფეროს შესახებ უნარ-ჩვევების ნაკლებობა ადგილობრივი მოსახლეობაში,	რისკი მცირე, რადგან მოსახლეობას აქვს ინფორმაცია, თუმცა არ იცის, როგორ განავითაროს დარგი და მიიღოს სარგებელი	პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მსგავსი პროექტების იმპლემენტაციით და ხელისუფლების აქტიური ძალისხმევით
გარე	ქვეყანაში ვიზიტორთა შემცირება	საშუალო	მაქსიმალური მუშაობა შიგა ვიზიტორების გაზრდაზე

ნაწილი მესამე. სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 ქვემოთ მოცემული კითხვარი დაგვებმარება გავიგოთ თუ რამდენად შეუწყობს თქვენი
 პროექტი სოციალური და გარემოსდაცვითი კუთხით პონტენციური რისკების შემცირებას
 და პროექტის პოტენციური სარგებლის გაუმჯობესებას

1. გათვალისწინებულია თუ არა პროექტით შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია ან ახალი შენობის აშენება?	☒ დიახ	☐ არა
დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვანოდოთ დამატებითი ინფორმაცია: <i>კერძოდ, კანონების მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგმება მსუბუქი სამშენებლო კონსტრუქციები დახლები და ფაჩანტურები, საცალო ვაჭრობისთვის და პიკნიკებისთვის. ასევე გარემონტდება და გაკეთდება ე.წ. საცალოფხო და მდინარეზე გაბმული ხიდები, მოეწყობა სველი წერტილები.</i>		
2. არსებობს თუ არა პროექტის განხორციელების ადგილას ისტორიული ან კულტურული მნიშვნელობის მქონე ძეგლი ან შენობა, რომელზეც შესაძლებელია გავლენა იქონიოს პროექტის განხორციელებამ?	☒ დიახ	☐ არა
დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვანოდოთ დამატებითი ინფორმაცია: <i>ოქონას შუასაუკუნეების მონასტერი, მაცხოვრის ეკლესია, „ნასტეფნარა“, სამება-ჯიხეთის (XII-XIXსს), კონჭკათის ადრეული სს. ძეგლი, სუფსის ხეობაში არსებული გამოქვაბულები, რომლებიც იქონიებს დადებით გავლენას, რადგანაც განვიხილავთ, როგორც ტურისტულად მომზიდველ ისტორიულ, ბუნებრივ და რელიგიურ ძეგლებს. ამ პროექტით ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებში რაიმეს გაკეთება დაგეგმილი არ არის.</i>		
3. ითვალისწინებს თუ არა პროექტი თემების სოციალური განვითარებისკენ მიმართული აქტივობების განხორციელებას?	☒ დიახ	☐ არა
დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვანოდოთ დამატებითი ინფორმაცია: <i>პერსპექტივაში მოსახლეობის გარკვეულ ფენებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სათანადო უნარ-ჩვევების გაღრმავება ტურიზმის, მომსახურების სფეროებსა და მცირე და საშუალო ბიზნესში.</i>		
4. რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ ჯგუფების ჩართულობას ითვალისწინებს პროექტი?		
☒ ბიზნესის მესაკუთრეები, მეწარმეები ☒ სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავე ორგანიზაცია/კომპანია ☐ ეთნიკური უმცირესობები ☒ ქალები ☒ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ☒ მიგრანტები/დევნილები ☐ მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობა ☐ სხვა (ამ გრაფის მონიშვნის შემთხვევაში გთხოვთ განმარტოთ, კონკრეტულად რომელ ჯგუფს გულისხმობთ)		

5. გამოიწვევს თუ არა პროექტის განხორციელება მიწათსარგებლობაში ცვლილებებს?	☐ დიახ	☒ არა
დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:		
6. გეყოლება თუ არა კონტრაქტორები პროექტის განხორციელების ფარგლებში?	☐ დიახ	☒ არა
დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ კონტრაქტთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია		
7. მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება ზეგავლენას ბუნებრივ ეკოსისტემასა და სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენებაზე პროექტის განხორციელების ადგილას?	☐ დიახ	☒ არა
დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:		
8. გამოიწვევს თუ არა პროექტის განხორციელება სამართლებრივ დავას (მაგ. კერძო მესაკუთრეებთან ან სხვა)?	☐ დიახ	☒ არა
დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:		

✓ მუნიციპალიტეტის მერი ადასტურებს, რომ გაეცნო პროგრამის პირობებს
☐ მუნიციპალიტეტის მერი ადასტურებს განაცხადის დაფინანსების შემთხვევაში მისი განხორციელების ვალდებულებას.

პროექტის წარდგენის თარიღი: 30.09.2019.

მუნიციპალიტეტის მერის ხელმოწერა

ორგანიზაციის ბეჭედი:



დანართი 2 - პროექტის ბიუჯეტის ფორმა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჩოჩხათის თემი, აცანის თემი

საქმიანობა	ერთეულის ტიპი	ერთეული რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სავარაუდო მთლიანი ჯამი	UNDP-სგან მოთხოვნილი თანხა	მუნიციპალიტეტის წილი	
				ლარი	ლარი	ლარი	%
ქმიანობა 1 ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. (ფანჯატურების მოწყობა, ელექტრო გაყვანილობით)							
5მx3მ ფანჯატურის მოწყობა	ცალი	4	4000	16000	16000		
2. ფანჯატურში ბეტონის იატაკის მოწყობა 4მx6მ სიძეით 10 სმ.	კმ/მ	9,6	266	2553,6	2553,6		
3. ფანჯატურში მაგიდის და ამბების მოწყობა	ცალი	4	380	1520	1520		
4. დახლ-მაგიდეების მოწყობა	ცალი	4	300	1200	1200		
5. ფანჯატურებიდან ელ. ენერგიის გვანა და განათების მოწყობა.	წერტი	12	200	2400	1000	1400	58,3
ქმიანობა 2 ტერიტორიაზე საინტარესო კვანძის მოწყობა (ტუალეტის მოწყობა)							
1. ხელოვნულ საკანალიზაციო ზე ტუალეტის შენობის მოწყობა 10x 10x	კმ/მ	2	500	1000		1000	100
ქმიანობა 3 წყალგაცანილობის მოწყობა							
1. ტურისტულ ტერიტორიაზე ალუგვანილობის მოწყობა	გრ/მ	450	2,5	1125		1125	100
ქმიანობა 4 ჯომარდობისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა (ტრანსპორტირებით და განაწილებით)							
1. გასაბერი ნაგები 8 კაციანი	ცალი	2	4500	9000		9000	
2. გასაბერი ნაგვი 12 კაციანი	ცალი	1	9500	9500		9500	

გასაბერი ნავი 4 კაციანი	ცალი	1	4700	4700	4700	
სამშენებლო ქოლგები	ცალი	20	50	1000	1000	
სამშენებლო ჩაფხუტი	ცალი	20	60	1200	1200	
კარავი 4 კაციანი	ცალი	2	120	240	240	
ნავის გასაბერი ელექტრო მწი	ცალი	2	80	160	160	
ნავის გასაბერი ხელის ტუშნი	ცალი	2	13	26	26	
აქვინა 5 ლითონის საცაღდოები ხიდის მოწყობა სიგრძე 15მ სიგანე 1მ						
საცაღდოები ხიდის მოწყობა	გრ/მ	15	716	10740	10740	
მიანობა 6 სარეკლამო მაჩვენებლების მოწყობა						
სარეკლამო აბრეშის მოწყობა	ცალი	2	300	600	600	100
გზის მაჩვენებლების მოწყობა	ცალი	18	50	900	900	100
მიანობა 7 არსებული საცაღდოები ხიდის რემონტი						
1 არსებული ხიდზე საცალი ილის შეცვლა ხის მასალით	კმ/მ	2,25		1125	1125	100
იანობა 8 მოსაშენებელი სამუშაოების ჩატარება						
ტერიტორიის მომზადება უფთავება				1000	1000	100
ინსტრუქტორების ტრენინგების არება				1050	1050	

		67039,6	59889,6	7150	10,67
--	--	---------	---------	------	-------

ზეტის შედგენისას გაითვალისწინეთ შემდეგი:

ცხრილში შეგიძლიათ საჭიროებისამებრ დაამატოთ საქმიანობები და ქვესაქმიანობები ბიუჯეტი არ უნდა მოიცავდეს გაუთვალისწინებელ ხარჯებს
გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტები გათავისუფლებულია დღგ-გან, შესაბამისად ბიუჯეტში მოცემული ხარჯები არ უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის გადასახადს

რთი 3 - მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ადგილობრივი ეკონომიკური
ათარების ხელშეწყობის პროექტები (მაქს. 5)

პროექტის განხორციელების ვადები	პროექტის სახელწოდება	მოკლე აღწერა (პროექტის მიზანი და მიღწეული შედეგები)	დირექტორი	დაფინანსების წყარო

დანართი 4 - პროექტის ლოგიკური ჩარჩო

არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს

პროექტის სახელწოდება	ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალო მთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისათვის	
მუნიციპალიტეტ(ები)	<u>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი</u>	
ბიუჯეტი (ლარი)	პროექტის მთლიანი ღირებულება (II)	67039,6
	UNDP-ს წილი (II)	59889,6
	მუნიციპალიტეტის წილი (II)	7150
	<i>დაასახელოეთ</i>	
პრობლემების ჩამონათვალი, რომლის მოგვარებაზეც არის მიმართული	• მოსახლეობის ზოგადი ეკონომიკური პრობლემები • ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების ნაკლებობა • შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის არ ქონა	
პროექტის მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალზე დაფუძნებით მუნიციპალიტეტის საშუალომთიან თემებში _ აცანა, ჩოჩხათი, ეკონომიკური სარგებელის მიღება, აგროტურიზმის განვითარება და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.	
კონკრეტული ამოცანები	ჩოჩხათის და აცანის თემებში არსებული ტურისტული პოტენციალის ნაწილობრივ ათვისება-გამოყენება; ტუროპერატორების დაინტერესება და აქტიური ჩაბმა; სარეკლამო საქმიანობები; აღნიშნული პროექტის განხორციელებით ტურისტების (შიგა და გარე ვიზიტორების) მოზიდვა. კერძო სექტორის შემდგომი დაინტერესება სამომავლოდ მათი აქტიური ჩართულობისთვის.	
საქმიანობები	1. მარშრუტების სქემის შედგენა, 2. ჩოჩხათის თემში ჯომარდობის განვითარება; ადგილებს შერჩევა ჯომარდობის სტარტისთვის, ფინიშისთვის. 3. ჩოჩხათის და აცანის თემებში ვიზიტორთა ბანაკისა და დასვენების ადგილების მოწყობა. 4. საპიკნიკე და საცალო ვაჭრობის ადგილების მოწყობა 5. საჭირო აღჭურვილობისა და ინვენტარის შეძენა. 6. კვალიფიციური ინსტრუქტორის მოწვევა ადგილობრივი ინსტრუქტორების დასატრენინგებლად. 7. მდინარეების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება 8. რეკლამირება.	
მოსალოდნელი შედეგები	<i>თვისებრივი</i> <i>ჩოჩხათის და აცანის თემებში:</i> • მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა	

	• აგროტურიზმის და ტურიზმის სხვა მიმართულებების განვითარებისთვის საფუძვლის შექმნა • მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება ტურიზმის, როგორც მათთვის ეკონომიკური სარგებელის მიღების შესაძლებლობა. რაოდენობრივი <i>აცანის და ჩოჩხათის თემების გარკვეული რაოდენობის მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდობის, ქალების ადგილზე ნაწილობრივად დასაქმების და ფინანსური შემოსავლების გაზრდის პერსპექტივით.</i>
პროექტის მდგრადობა	აღნიშნული პროექტი საშუალებას იძლევა, პროექტით გათვალისწინებულ თემებში შეიქმნას ტურისტული მარშრუტები, ტურისტული ინფრასტრუქტურა შესაბამისი რეკლამით, დაფუძნებული ტურისტულად მიმზიდველ ადგილებზე. პროექტის მიზნიდან გამომდინარე, შექმნილი რეალობა ხელს შეუწყობს და განავითარებს მოსახლეობის ფართო ჩართულობას გარე და შიგა ვიზიტორებთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სუვენირების, გურული ტრადიციული კერძების, თაფლის არაყის, გურული ვაზის ჯიშის „ჩხავერის“ ღვინის დაგემოვნება-გაყიდვით, მომსახურების სფეროს განვითარებით და ეკონომიკური აქტივობის ზრდით, რაც შემდგომში მიიღებს ტრადიციულ სახეს. ყოველივე ზემოთქმული გარანტიაა იმისა, რომ აღნიშნული პროექტი გრანტის დამთავრების შემდეგ იქნება სიცოცხლისუნარიანი, გრძელვადიანი, მდგრადი და აღნიშნული თემებისთვის ეკონომიკური სარგებელის მომტანი. ასევე პროექტის განხორციელება და შექმნილი ობიექტების მოვლა-პატრონობა, პოპულარიზაცია და პროექტის განხორციელების შემდეგ განვითარება და მდგრადობის უზრუნველყოფა დაეკისრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს კერძოდ, ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრს, რაც იქნება კიდევ ერთი გარანტია გრანტის დამთავრების შემდეგ პროექტის დინამიკური განვითარებისა.

დანართი 5 - სამოქმედო გეგმა

[illegible]

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილების და „მუნიციპალიტეტებისთვის გრანტის მიღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 განკარგულების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროექტის (UNDP) ფარგლებში მიიღოს გრანტი (პროექტი: რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD) -ფაზა 2; მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამა; პროექტი-„ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე